



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ე რ ი ა



წერილის ნომერი: 30-302502312
თარიღი: 23/01/2025

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს სა კ რ ე ბ უ ლ ო ს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს ბ ა ტ ო ნ ბ ე ს ი კ ტ ა ბ ი ძ ე ს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსულია 2024 წლის 10 დეკემბრის N 2024/7133 წერილი, რომლის თანახმადაც საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2024 წლის 24 ოქტომბერს N2/5/1545 გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მიიჩნია სატრანსპორტო საშუალებების პარკირების შესაბამისი საცნობი ნიშნის გაცემა მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ან ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირების მიმართ.

სახალხო დამცველის რეკომენდაციაა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ავსახოთ შესაბამისი ცვლილებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგინებ პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ამავე სამსახურის უფროსის შოთა ჩაგუნავას კანდიდატურას.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიცირი
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2025 წლის იანვარი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2025 წლის ----- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2025 წლის -- იანვარი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში (ვებგვერდი, 01/06/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016296) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1) მე-16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს მერიას და მას დაურთოს „სამედიცინო – სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის ველშიც „ქმედუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“ დადგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს გადაადგილების უნარის შეზღუდვის პირველი, მეორე ან მესამე ხარისხი. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.“

2) მე-16 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს მერიას და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა საადრიცხვო ბაზაში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ, დაბადების მოწმობის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი, კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.“

3) მე-16 მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს მერიას და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრული ფორმა №IV- 50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის ველშიც „ქმედუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“ დადგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს გადაადგილების უნარის შეზღუდვის პირველი, მეორე ან მესამე ხარისხი და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

N 01/501
01/11/2024

501-01-2-202411011209



საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ირაკლი კობახიძეს

ბატონო ირაკლი,

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, გიგზავნით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 24 ოქტომბრის N2/3/750, N2/4/1498, N2/5/1545 და N2/6/1664 გადაწყვეტილებებს.

დანართი: N2/3/750 გადაწყვეტილება;
N2/4/1498 გადაწყვეტილება;
N2/5/1545 გადაწყვეტილება;
N2/6/1664 გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

მერაბ ტურავა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა



№2/5/1545

ბათუმი, 2024 წლის 24 ოქტომბერი

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე – სხდომის თავმჯდომარე;

ირინე იმერლიშვილი – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

თეიმურაზ ტულუში – წევრი.

სხდომის მდივანი: მანანა ლომთათიძე.

საქმის დასახელება: საქართველოს სახალხო დამცველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ.

დავის საგანი: „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებისა და მე-3 პუნქტის პირველი წინადადების (2021 წლის 20 ოქტომბრამდე მოქმედი

რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოსარჩელე მხარის, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები – მიხეილ შარაშიძე და მარიამ არაბული; მოპასუხე მხარის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები – შალვა ლომსაძე, ფატმან ნიშნიანიძე, ჯემალი ბეჟანიშვილი, ეკა ჭუბაბრია, ვასილ აბულაძე, გიგა სოფრომაძე და ოთარ თევდორაძე; საჯარო დაწესებულების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი – სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტის სამედიცინო საქმიანობის ინსპექტირების სამმართველოს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჯგუფის უფროსი, როლანდ მებურიშვილი.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 2 ნოემბერს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1545) მომართა საქართველოს სახალხო დამცველმა. №1545 კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას გადმოეცა 2020 წლის 5 ნოემბერს. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2021 წლის 15 ივლისს. №1545 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/7/1545 საოქმო ჩანაწერით, ნაწილობრივ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად. №1545 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვის სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2022 წლის 27 მაისს, 8 ივნისსა და 23 ივნისს.

2. №1545 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული

კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.

3. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის“ (შემდგომში - დადგენილება) მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების (2021 წლის 20 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, საცნობი ნიშნის მისაღებად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ვალდებულია, წერილობითი ფორმით მიმართოს სააგენტოს და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 3-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/4-ის შესაბამისად გაცემული პირის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, ან დოკუმენტი, რომლითაც დგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს ქვედა კიდურის ამპუტაცია ან საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზაში რეგისტრირებულ, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ. ხოლო დადგენილების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად (2021 წლის 20 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია), საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, წერილობითი ფორმით მიმართოს სააგენტოს და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 3-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/4-ის შესაბამისად გაცემული პირის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან დოკუმენტი, რომლითაც დგინდება, რომ შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირს აქვს ქვედა კიდურის ამპუტაცია ან საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზაში რეგისტრირებულ, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ, პირის შეზღუდული ქმედუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან დამოწმებული ქსეროასლი, კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს სამართლის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უფლებას, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.

5. კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, მოსარჩელისათვის პრობლემურია სადავო რეგულირების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე საცნობი ნიშნის გაცემას დასაშვებად მიიჩნევს, მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ან ქვედა კიდურის ამპუტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში. მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავოდ გამხდარი ნორმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებისთვის საჭირო პარკირების სპეციალურ პირობებს ავრცელებს მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ნაწილზე. კერძოდ, მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსისა და ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირებზე, ხოლო ქმედობაუნარიანობის ზომიერად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვის მქონე პირები კი (რომელთაც არ აქვთ ქვედა კიდურის ამპუტაცია) ვერ სარგებლობენ პარკირების სპეციალური პირობებით. ამდენად, შესაძარებელ პირებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, ზომიერად გამოხატული და მნიშვნელოვნად გამოხატული (გარდა ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ გადაადგილების შეზღუდვა, მეორე მხრივ კი, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ან ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირები.

6. მოსარჩელის განმარტებით, სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის მიზნისთვის, შესაბამისი პირები ერთმანეთთან გათანაბრებულ უნდა იქნენ არა მათთვის მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის, არამედ სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის რეალური საჭიროების მიხედვით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომლის ქმედობაუნარიანობის

შეზღუდვა გამოხატულია მნიშვნელოვნად ან ზომიერად, შესაძლებელია, აღენიშნებოდეს იმგვარი ფიზიკური შეზღუდვა, რომელიც საჭიროებს გადაადგილებისთვის/პარკირებისთვის სპეციალური პირობების შექმნას. თუმცა, მიუხედავად ამგვარი საჭიროებების არსებობისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი პარკირების ადგილით სარგებლობა კანონმდებლობით არ არის ნებადართული და იწვევს შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებას.

7. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, მათ შორის, სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის უფლების მინიჭების საჭიროება უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, შესაბამისი ექსპერტული შეფასების შედეგად. ამასთან, სპეციალური საცნობი ნიშნის მიღების შესაძლებლობა დაკავშირებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციალური სადგომით სარგებლობის ინდივიდუალურ საჭიროებასთან.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო რეგულირება ადგენს დისკრიმინაციულ მოპყრობას და არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი.

9. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი სახელმწიფოსგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად, აქტიურ მოქმედებას და მათი საჭიროებების გათვალისწინებით, გარკვეული ვალდებულებების შესრულებას მოითხოვს. ამდენად, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტური და შესაბამისი ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობის (მათ შორის, ტრანსპორტით გადაადგილების) უფლების რეალიზების ხელშეწყობისთვის. საქართველოს სახალხო დამცველი ე. წ. სპეციალური პარკირების ადგილებით სარგებლობის უფლებას მოიაზრებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის ფართო უფლების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, რომელიც მოწოდებულია, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ შესაბამისი სიკეთეებით სათანადოდ სარგებლობა. სახელმწიფო, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული პირობების უზრუნველყოფის ვალდებულების ფარგლებში, მათ შორის, ხელს უნდა უწყობდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მისაწვდომობის უფლების რეალიზებას. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებით დადგენილი წესი ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვალდებულებას.

10. მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, შესაძარებელ პირებს შორის თანასწორობის მიღწევა სახელმწიფოს შეუძლია, როგორც კონკრეტული უფლების ორივე კატეგორიისათვის მინიჭების, ისე მისი არც ერთისთვის მინიჭების გზით, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, რომლის აღსასრულებლადაც მან უნდა უზრუნველყოს პარკირების სპეციალური პირობებით მოსარგებლე პირთა წრის გაფართოება. ამდენად, მოსარჩელე მხარე თვლის, რომ კონსტიტუციის ხსენებული დებულება ითვალისწინებს თანასწორობის აღდგენის შესაძლებლობას ყველა პირის გარკვეულ სიკეთეზე წვდომის უფლებით აღჭურვის გზით. მოსარჩელე მხარის მითითებით, იმ შემთხვევაში, თუ პირის მოთხოვნა გამომდინარეობს მისი შეზღუდული შესაძლებლობიდან და მისი დაკმაყოფილება უზრუნველყოფს ამ პირის უფლებების/ინტერესების რეალიზებას, სასამართლომ უნდა შეაფასოს, ერთი მხრივ, რამდენად იყენებს სახელმწიფო მაქსიმალურ რესურსს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს თუ არა რაიმე გარდაუვალი ბარიერი აღნიშნულის განსახორციელებლად.

11. იმავდროულად, მოსარჩელე მხარის წარმომადგენლის განცხადებით, სპეციალური საცნობი ნიშნის მქონე ავტომობილის ალტერნატივად ვერ გამოდგება შეზღუდული რაოდენობისა და გადაადგილების მარშრუტის მქონე ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რამდენადაც გადაადგილების უნარის შეზღუდვის მქონე პირს საზოგადოებრივ ტრანსპორტამდე მისასვლელად უწევს არადაპტირებულ გარემოში სხვადასხვა ტიპის დაბრკოლების გადალახვა.

12. მოპასუხე მხარის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოზიციით, საცნობი ნიშნის გაცემის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, რომელთა შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხი და სიმძიმე განაპირობებს ტრანსპორტირებისას დახმარების განსაკუთრებულ აუცილებლობას, ისარგებლონ პარკირების სპეციალური პირობებით. მოპასუხე მხარის განმარტებით, მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირზე საცნობი ნიშნის გაცემას საფუძვლად უდევს ობიექტური მიდგომა. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო დაეყრდნო კანონმდებლობით დადგენილ დიფერენცირებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის.

13. მოპასუხე მხარის არგუმენტაციით, მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ანატომიური და

გონებრივი მდგომარეობის ხარისხობრივი განსხვავებების გამო არ წარმოადგენენ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირებს. მოპასუხე მხარე აღნიშნავს, რომ მოქმედი და სადავო აქტის მიღების მომენტისათვის არსებული კანონმდებლობა სიმძიმის ხარისხის მიხედვით განასხვავებს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსს და ადგენს მათთვის განსხვავებულ შეღავათებს. სწორედ ამიტომ, სადავო აქტიც განასხვავებს და, სიმძიმის შესაბამისად, ადგენს განსხვავებულ შეღავათს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, რაც არ წარმოადგენს დისკრიმინაციას. მოპასუხის პოზიციით, შეზღუდული საპარკინგე ადგილების პირობებში, საცნობი ნიშნით სარგებლობის უფლება ენიჭა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის ყველაზე რთულ კატეგორიას. ამასთან, მოპასუხე მიუთითებს, რომ წარსულ პრაქტიკაში, როდესაც საცნობი ნიშანი გაიცემოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირზე, სტატუსის განურჩევლად, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები რჩებოდნენ ხსენებული სერვისით სარგებლობის მიღმა. მოპასუხე დამატებით აპელირებს იმაზე, რომ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსი ყოველწლიურად განახლებადია. შესაბამისად, შესაძლებელია, ამგვარი სტატუსის მქონე პირი განიკურნოს ან მან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფში გადაინაცვლოს.

14. მოპასუხე მხარე აღნიშნავს, რომ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, პარკირების სპეციალური პირობებით სარგებლობის კონტექსტში, უპირატესობა მიენიჭათ, რათა ამ პირობებით ესარგებლათ გადაადგილების უნარის შეზღუდვის მქონე პირებს, რომლებიც სარგებლობდნენ დამხმარე საშუალებით და სჭირდებოდათ სტანდარტულზე დიდი სივრცე. ამასთან, ამგვარი საპარკინგე ადგილების განსაზღვრა ხდება ადმინისტრაციულ, სამედიცინო და მსგავს დაწესებულებებთან ყველაზე ახლოს. მოპასუხე განმარტავს იმასაც, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ 2020 წლის 14 ივლისის კანონის საფუძველზე, სახელმწიფო გადადის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ერთიანი სტატუსის მინიჭების მოდელზე და სახელმწიფოს 2035 წლისათვის ექნება შესაძლებლობა, სპეციალისტების მეშვეობით, ინდივიდუალურად, განსაზღვროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები. შესაბამისად, შემდგომში, მუნიციპალიტეტიც დაექვემდებარება აღნიშნულ მოდელს.

15. მოპასუხის მითითებით, პრაქტიკაში, სპეციალური სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემულ ცნობებში გადაადგილების უნარის შეზღუდვაზე მითითება არ ხდება. შესაბამის ცნობებში მითითებული დიაგნოზების საფუძველზე

კი, რთულია იმის გარკვევა, თუ რა შემთხვევაში არის სახეზე გადაადგილების უნარის შეზღუდვა. ამასთან, თავად შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენა დაკავშირებულია კლინიკურ-ფუნქციონალური, სოციალური, პროფესიულ-შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსურ შეფასებასთან. ამგვარი შეფასების გარეშე, რის განხორციელების უფლებამოსილებაც მუნიციპალიტეტს არ გააჩნია, საცნობი ნიშნის გაცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციალური სადგომით სარგებლობის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ვერ განხორციელდება. შესაბამისად, მოპასუხე მხარეს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, მიიღოს ისეთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის აღსრულების მომენტშიც, მას მოუწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპეციალური პარკირების ადგილით სარგებლობის მინიჭების საჭიროება განსაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად, რამდენადაც თანამშრომლებს აღნიშნულისათვის საჭირო სამედიცინო კომპეტენცია არ გააჩნიათ. დამატებით, მოპასუხე მხარე განმარტავს იმასაც, რომ ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირთან მიმართებით დადგენილი გამონაკლისი გათვალისწინებულია იმის გამო, რომ აღნიშნული მდგომარეობა მუდმივია და გარდა ამისა, დგინდება გადაადგილების უნარის შეზღუდვა.

16. პარკირების ადგილების განაწილებასთან მიმართებით, მოპასუხე მხარე მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ადგილების გამოყოფა ხორციელდება საჭიროების შესაბამისად, მომართვიანობის საფუძველზე. ამასთან, მუდმივ რეჟიმში ხორციელდება ადგილების ცვლილება, საჭიროების შემთხვევაში საპარკინგე ადგილების დამატება ან გაუქმება.

17. მოპასუხე მხარე განმარტავს, რომ თვითმიზანს არ წარმოადგენს სპეციალური საპარკინგე პირობებით სარგებლობის უფლებებიდან პირთა რომელიმე წრის გამორიცხვა, არამედ მათთვის პრობლემურია გადაადგილების უნარის შეზღუდვის დადგენა. იმ შემთხვევაში, თუ მათთვის წარდგენილი დოკუმენტი დაადასტურებს გადაადგილების უნარის შეზღუდვას, ისინი აღნიშნულს გაითვალისწინებენ სპეციალური საცნობი ნიშნის გაცემის რეგულირებისას. ამასთან, ამგვარ ვითარებაში, შესაძლებელია, საჭირო არ გახდეს საპარკინგე ადგილების დამატება, არამედ ჩანაცვლდნენ ისეთი პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ საცნობი ნიშნით სარგებლობის საჭიროება.

18. გადაადგილების უნარის შეზღუდვის მქონე პირებისადმი სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, მოპასუხე მხარე მიუთითებს, რომ შექმნილ იქნა ადაპტირებული საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებები, ეწყობა ავტობუსებისათვის გამოყოფილი საგზაო ზოლები და პანდუსების

ინფრასტრუქტურა. იმავდროულად, სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას, ისევე, როგორც ადმინისტრაციული შენობებისათვის, სავალდებულოა ადაპტირებული გარემოს ორგანიზება.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, მოკვლეულ მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებს.

20. არსებითი განხილვის სხდომაზე მოწვეული საჯარო დაწესებულების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, როლანდ მებურიშვილის განმარტებით, 2021 წელს საქართველოს მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი დაუდგინდა 29 159 პირს, რომელთაგანაც 73% იყო მნიშვნელოვნად გამოხატული, 11% მკვეთრად გამოხატული, ხოლო 1% ზომიერად გამოხატული. ამასთან, ყოველწლიურად, რიცხოვრივი სტატისტიკა მერყეობს, დაახლოებით, მსგავს ფარგლებში. წარმომადგენელმა მიუთითა იმაზეც, რომ მკვეთრად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი დგინდება უვადოდ, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული ერთი წლით.

21. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის არგუმენტაციით, გადაადგილების უნარის მკვეთრად შეზღუდვა შესაძლოა, განპირობებული იყოს როგორც ამპუტაციით, ასევე პარეზებით. იმავდროულად, შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევაში, მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვა დაკავშირებული არ იყოს გადაადგილების უნარის შეზღუდვასთან. წარმომადგენელი აპელირებს, მაგალითად, შიზოფრენიაზე, რომელიც დაკავშირებულია მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსისა და საცნობი ნიშნის გაცემასთან, თუმცა მას არ ახასიათებს გადაადგილების უნარის მოშლა. ამასთან, შესაძლებელია, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირსაც გააჩნდეს დამხმარე საშუალებით სარგებლობის საჭიროება. პარკირების სპეციალური პირობებით სარგებლობასთან მიმართებით, წარმომადგენელი განმარტავს, რომ ამგვარი პირობებით ხელშეწყობას უფრო მეტად საჭიროებს პირი, რომელსაც გადაადგილების მნიშვნელოვანი და მკვეთრი მოშლა უდგინდება.

22. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დადგენის დროს სამედიცინო და საექსპერტო დოკუმენტაციაში ეთითება დასაბუთება შესაბამისი სტატუსის მინიჭების მიზეზების თაობაზე. იმავდროულად, შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, სტატუსის შესახებ ცნობაში მიეთითოს გადაადგილების უნარის

შეზღუდვის თაობაზე. წარმომადგენელი აღნიშნავს იმასაც, რომ მინისტრის სადავო ბრძანებით განსაზღვრული კონკრეტული სამედიცინო ჩვენებების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განურჩევლად, ხდება პირებისათვის დამხმარე საშუალებების მიკუთვნება, რის თაობაზეც დოკუმენტაციაში კეთდება მითითება, რომ პირს გააჩნია სამედიცინო ჩვენება კონკრეტული დამხმარე საშუალების მიკუთვნებისათვის.

23. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციით, ცალკეულ შემთხვევაში, გადაადგილებისათვის სპეციალური პირობების საჭიროებასთან მიმართებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსიდან და დაავადებებიდან გამომდინარე, საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. სადავო ნორმების ცვლილება

1. სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებამდე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შემდგომ „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის №89-88 დადგენილების საფუძველზე, სადავო წინადადებები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. კერძოდ, საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის და მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარსადგენ დოკუმენტთა ჩამონათვალს დაემატა პირის კუთვნილი პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის წარდგენის შესაძლებლობა, რომელზეც დატანილია აღნიშვნა „შშმ პირი. მკვეთრად გამოხატული“. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისათვის გასაჩივრებული ნორმები ძალადაკარგულია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სადავო ნორმებმა ძალა დაკარგა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდგომ, საქმის განხილვის დასრულებამდე.

2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქმის განხილვის მომენტისთვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, სადავო ნორმის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დასახელებული ნორმის ერთ-ერთი მიზანია „არ მისცეს სამართალშემოქმედს შესაძლებლობა, ბოროტად ისარგებლოს სამართალშემოქმედებითი პროცესით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის №1/1/386 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-4).

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობამ ყველა შემთხვევაში შეიძლება არ გამოიწვიოს სადავოდ გამხდარი ნორმატიული შინაარსის გაუქმება. ნორმის გაუქმების შემდეგ, იგი შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს სხვა ისეთი დებულებით, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ შეინარჩუნებს მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარ ნორმატიულ შინაარსს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). „ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში საქმის განხილვის ავტომატური შეწყვეტა გამოიწვევს კონსტიტუციური კონტროლის აბსოლუტურ დამოკიდებულებას სამართალშემოქმედების დინამიკურ პროცესზე, რამაც შესაძლებელია, არაგონივრულად გაართულოს საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვა და დაუშვას სამართალშემოქმედებითი პროცესით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობა, ეს კი უარყოფითად აისახება კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული უფლებების ეფექტიან უზრუნველყოფაზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-4).

4. მოცემულ შემთხვევაში, ცვლილების შედეგად მიღებული რეგულაცია არსებითად იმეორებს ამავე ნორმების ძველი (გასაჩივრებული) რედაქციის ნორმატიულ შინაარსს და საცნობი ნიშნის გაცემას კვლავ უკავშირებს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ან ქვედა კიდურის ამპუტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას. როგორც აღინიშნა, ცვლილების შედეგად, სადავო წინადადებებს დაემატა კიდევ ერთი დოკუმენტის წარდგენის შესაძლებლობა, პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის სახით, რომელზეც დატანილია აღნიშვნა „შპმ პირი. მკვეთრად გამოხატული“. თავის მხრივ, აღნიშნულს, მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემურ საკითხთან მიმართებით, ზომიერად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების პოტენციალი არ გააჩნია. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ ცვლილების შემდგომ სადავო ნორმებს შინაარსობრივად, უფლების დაცვის თვალსაზრისით, რაიმე არსებითი ცვლილება არ განუცდია და კვლავაც არსებობს უფლების შესაძლო დარღვევის რისკი.

5. ყოველივე აღნიშნულისა და იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ეფექტიანი დაცვა, კონსტიტუციის ღირებულებათა სისტემაში წარმოადგენს ფუნდამენტურად მნიშვნელოვან საკითხს, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ წინამდებარე დავის გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო გააგრძელებს სამართალწარმოებას და შეაფასებს ძალადაკარგული სადავო ნორმების კონსტიტუციურობას.

2. სადავო ნორმების შინაარსი და შესაფასებელი მოცემულობის იდენტიფიცირება

6. განსახილველ საქმეზე მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებისა და მე-3 პუნქტის პირველი წინადადების (2021 წლის 20 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით. მოსარჩელისათვის პრობლემურია სადავო რეგულირების ის ნორმატიული შინაარსი,

რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე საცნობი ნიშნის გაცემას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ან ქვედა კიდურის ამპუტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

7. №1545 კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი წინადადებები განსაზღვრავს საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარსადგენ სავალდებულო დოკუმენტთა ნუსხას. სადავო ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი/მისი კანონიერი წარმომადგენელი საცნობი ნიშნის მიღების მიზნებისათვის, ვალდებულია, წერილობითი ფორმით მიმართოს სააგენტოს და მას დაურთოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსს ან ქვედა კიდურის ამპუტაციის ფაქტს. კერძოდ, ამ მიზნისათვის, სადავო ნორმების გასაჩივრებული რედაქცია მიუთითებს შემდეგი დოკუმენტებიდან ერთ-ერთის წარდგენის ვალდებულებაზე: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართი 3-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/4-ის შესაბამისად, გაცემული პირის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან ქვედა კიდურის ამპუტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზაში რეგისტრირებულ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ. გასაჩივრებული ნორმების შესაბამისად, კანონიერ წარმომადგენელს დამატებით მოეთხოვება პირის შეზღუდული ქმედობაუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის ან დამოწმებული ქსეროასლისა და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის ან დამოწმებული ქსეროასლის წარდგენა.

8. მოსარჩელე მხარე განმარტავს, რომ სადავო ნორმებით შექმნილი სამართლებრივი მოცემულობა დისკრიმინაციულია, რამდენადაც, არსებითად თანასწორ პირებს, კერძოდ, ერთი მხრივ, ზომიერად და მნიშვნელოვნად გამოხატული (გარდა ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთაც აღენიშნებათ გადაადგილების შეზღუდვა, მეორე მხრივ კი, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის და ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირებს აყენებს დიფერენცირებულ მდგომარეობაში. საქართველოს სახალხო დამცველი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ სპეციალური

საცნობი ნიშნის მიღების შესაძლებლობა დაკავშირებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციალური სადგომით სარგებლობის ინდივიდუალურ საჭიროებასთან, კერძოდ, გადაადგილების უნარის შეზღუდვასთან. დამატებით, მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, აქტიური მოქმედებით უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობა და ხელი შეუწყოს მათი მისაწვდომობის (მათ შორის, ტრანსპორტით გადაადგილების) უფლების რეალიზებას.

9. შესაბამისად, განსახილველ საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს საცნობი ნიშნის მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსისა და ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირებზე გაცემის შესაძლო დისკრიმინაციულობას. საკონსტიტუციო სასამართლო, უპირველესად, შეაფასებს სადავო ნორმების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

3. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

3.1 საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო

10. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს სამართლის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს და აკრძალულად აცხადებს დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც, ზოგადად, გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის

№1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1).

11. სამართლის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კონსტიტუციური ნორმა-პრინციპის განმტკიცებით, საქართველოს კონსტიტუცია მიისწრაფვის, თანაბარი შესაძლებლობების მინიჭების საშუალებით უზრუნველყოს პირთა თანაბარი წვდომა ამა თუ იმ სიკეთეზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისათვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). თანასწორობის უფლება არ მოითხოვს „ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-2).

12. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შეზღუდვა სახეზე იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნორმა „არსებითად თანასწორ პირებს შეუქმნის განსხვავებულ შესაძლებლობებს, აღჭურავს განსხვავებული უფლებებითა თუ ვალდებულებებით ან არსებითად უთანასწორობა მიმართ გაავრცელებს ერთნაირ სამართლებრივ რეჟიმს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №2/3/663 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-5; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №1/6/1320 გადაწყვეტილება საქმეზე „ელგა მაისურაძე, ირმა გინტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

13. ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული თანასწორობის უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირებისათვის, უპირველესად, უნდა დადგინდეს, იწვევს თუ არა სადავო ნორმები არსებითად

თანასწორი პირების დიფერენცირებას. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა გამოიკვეთოს შესაძარებელი პირები.

3.2 შეზღუდვის იდენტიფიცირება

3.2.1 შესაძარებელ პირთა დიფერენცირება

14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სადავო ნორმის საფუძველზე, დიფერენცირების არსებობის დასაბუთებისათვის, მოსარჩელე ვალდებულია, წარმოაჩინოს პირთა ორი წრე, რომელთა მიმართ დგინდება განსხვავებული უფლებრივი რეჟიმი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №2/3/663 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-9).

15. მოსარჩელე მხარის პოზიციით, სადავო ნორმა დიფერენცირებულ მდგომარეობაში აყენებს, ერთი მხრივ, ზომიერად გამოხატული და მნიშვნელოვნად გამოხატული (გარდა ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც აქვთ გადაადგილების შეზღუდვა, მეორე მხრივ კი, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ან ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირებს.

16. ამ მხრივ, მოქმედი კანონმდებლობა, ერთმანეთისაგან განასხვავებს შეზღუდული შესაძლებლობის 3 სტატუსს. კერძოდ, „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული „ინსტრუქცია შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის სიმძიმის მიხედვით, ითვალისწინებს მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის შესაძლებლობას. ამავდროულად, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მეორე ხარისხის გადაადგილების უნარის შეზღუდვა ქმედობაუნარიანობის მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდვას, პირველი ხარისხის გადაადგილების უნარის შეზღუდვა კი ქმედობაუნარიანობის ზომიერად გამოხატულ შეზღუდვას წარმოადგენს. მაშასადამე, პირს შესაძლოა, ჰქონდეს მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი და ეს უკავშირდებოდეს სწორედ გადაადგილების შეზღუდვას.

17. თავის მხრივ, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის“ მიზნებისათვის, ამავე წესის მე-2 მუხლის „ხ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად მიიჩნევა საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი. ამასთან, სადავო წინადადებები ერთმნიშვნელოვნად ითვალისწინებს საცნობი ნიშნის გაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი წარადგენს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ან ქვედა კიდურის ამპუტაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. საკითხის ამგვარად მოწესრიგების პირობებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სხვა კატეგორიები, კერძოდ, ზომიერად და მნიშვნელოვნად გამოხატული (გარდა ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირებისა) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც აქვთ გადაადგილების შეზღუდვა, რჩებიან აღნიშნული ნიშნის მიმღებ პირთა წრის მიღმა.

18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელე მხარის არგუმენტაციას და განმარტავს, რომ აშკარაა, სადავო ნორმების საფუძველზე, ერთი მხრივ, გადაადგილების უნარის შეზღუდვის მქონე ზომიერად გამოხატული და მნიშვნელოვნად გამოხატული (გარდა ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, მეორე მხრივ კი, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის და ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირებისათვის საცნობი ნიშნის მიღებასთან მიმართებით, განსხვავებული უფლებრივი რეჟიმის დადგენის ფაქტი. შესაბამისად, სადავო ნორმის საფუძველზე, ადგილი აქვს მოსარჩელის მიერ დასახელებულ პირთა კატეგორიებს შორის დიფერენცირებულ მოპყრობას.

3.2.2 შესადარებელ პირთა არსებითად თანასწორობა

19. თანასწორობის უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირებისას, დიფერენცირების არსებობასთან ერთად, აუცილებელია, დადგინდეს, რამდენად წარმოადგენენ შესადარებელი ჯგუფები არსებითად თანასწორ სუბიექტებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, „არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან

ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბერუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-17).

20. მოპასუხე მხარის პოზიციით, მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ანატომიური და გონებრივი მდგომარეობის ხარისხობრივი განსხვავებების გამო არ წარმოადგენენ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირებს.

21. როგორც ზემოთ აღინიშნა, იმისათვის, რათა დადგინდეს შესადარებელი პირების არსებითად თანასწორობის ფაქტი, საჭიროა, არსებითად თანასწორობის საკითხი შეფასდეს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით. ამ მხრივ, ზოგადი განსხვავება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მდგომარეობასა და სტატუსებს შორის ვერ დაედება საფუძვლად მათ არსებითად უთანასწორო პირებად მიჩნევას ნებისმიერ ურთიერთობასთან მიმართებით.

22. ამ მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, უპირველესად განმარტავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ საცნობი ნიშნის მიღება, რასთან მიმართებითაც განსახილველ საქმეზე დადგენილია შესადარებელ პირებს შორის განსხვავებული უფლებრივი რეჟიმი, დაკავშირებულია პარკირების სპეციალური პირობებით სარგებლობასთან. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი შესაბამისი საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილ სპეციალური პარკირების ადგილზე პარკირებისას გათავისუფლებულია დადგენილი დროის მონაკვეთისა და ზონალური პარკირების საფასურის გადახდისგან. გარდა ამისა, მოპასუხე მხარის პოზიციიდან გამომდინარე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განკუთვნილი სპეციალური საპარკინგე ადგილები განლაგებულია საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებთან ყველაზე ახლოს, უშუალოდ პარკირების ადგილები კი, სტანდარტულ საპარკინგე ადგილებთან შედარებით, დიდი ფართობისაა.

23. თავის მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სპეციალური საპარკინგე სივრცეების გამოყოფა და მათი გათავისუფლება დროის მონაკვეთისა და ზონალური პარკირების საფასურისაგან ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაბრკოლებების შემსუბუქებას, რომლებიც მათ გააჩნიათ გადაადგილებისას. მათ შორის, მოპასუხე მხარის პოზიციიდან გამომდინარე, რომ ისინი, პარკირების სპეციალური პირობების უზრუნველყოფით, მიზნად

ისახავდნენ გადაადგილების შეზღუდვის მქონე იმ პირების ხელშეწყობას, რომლებიც სარგებლობდნენ დამხმარე საშუალებით და სჭირდებოდათ სტანდარტულზე დიდი სივრცე. ამასთან, ამგვარი საპარკინგე ადგილების განსაზღვრა, როგორც აღინიშნა, ხდება ადმინისტრაციულ, სამედიცინო და მსგავს დაწესებულებებთან სიახლოვეს. შესაბამისად, ამგვარ ვითარებაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ სპეციალური პარკირების პირობებით სარგებლობა, როგორცაა, დროის მონაკვეთისა და ზონალური პარკირების საფასურისაგან გათავისუფლება, ამასთან, თავად საპარკინგე სივრცის სტანდარტულზე დიდი ფართობის გამოყოფა და მისი მაქსიმალური სიახლოვე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებთან, არსობრივად და პრაქტიკულად დაკავშირებულია დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვასთან, რის გამოც ამგვარი შეზღუდვის მქონე პირები საჭიროებენ მათ მდგომარეობასთან ადაპტირებულ პარკირების ადგილებს ძირითად საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე დაწესებულებებთან სიახლოვეს, რათა მოხდეს იმ ბარიერების მაქსიმალურად შემცირება, რომელიც ახლავს მათი დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვას.

24. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია, რომ გადაადგილების უნარის შეზღუდვა დამახასიათებელი არ არის ექსკლუზიურად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ან ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირთა კატეგორიისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა, ცალკეულ შემთხვევაში, ასევე შესაძლოა უკავშირდებოდეს გადაადგილების უნარის შეზღუდვას. აღნიშნულს ადასტურებს ასევე სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მოწოდებული სტატისტიკა, რომლის შესაბამისადაც, 2021 წლის 1 იანვარი - 2022 წლის 31 მაისის პერიოდის მონაცემების მიხედვით, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა, დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვით, საქართველოს მასშტაბით, ჯამში არის 3962, ხოლო ზომიერად გამოხატული - 57 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

25. უფრო მეტიც, პირისათვის მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენა იმთავითვე არ გულისხმობს იმას, რომ ამ პირს გააჩნია დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვა. კერძოდ,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქმედობაუნარიანობის მკვეთრად გამოხატულ შეზღუდვას წარმოადგენს თვითმომსახურების, გადაადგილების, შრომითი საქმიანობის, ორიენტაციის, ურთიერთობის, თვითკონტროლის უნარების მესამე ხარისხის შეზღუდვა. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად კი, იმისათვის, რათა პირს დაუდგინდეს მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი, საკმარისია ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის ცალკე ერთი ან ერთობლივად რამდენიმე კატეგორიის არსებობა. მაშასადამე, პირს მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი შესაძლოა დაუდგინდეს ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე უნარიდან მხოლოდ ერთის შეზღუდვის არსებობის შემთხვევაშიც. მაგალითად, პირისათვის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონის სტატუსის დადგენისათვის საკმარის საფუძველს წარმოადგენს ურთიერთობის უნარის მესამე ხარისხის შეზღუდვის არსებობა. ის, რომ მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი *a priori* არ გულისხმობს გადაადგილების უნარის შეზღუდვას დაადასტურა არსებითი განხილვის სხდომაზე მოწვეულმა საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმაც. წარმომადგენლის განცხადებით, შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევაში, მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვა დაკავშირებული არ იყოს გადაადგილების უნარის შეზღუდვასთან. მაგალითად, იგი აპელირებს შიზოფრენიაზე, რომელიც დაკავშირებულია მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსთან, თუმცა მას არ ახასიათებს გადაადგილების უნარის მოშლა.

26. მაშასადამე, მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი თავისთავად არ მიუთითებს ამ პირის დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვაზე. მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირს, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, საერთოდ არ აღენიშნებოდეს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვა ან, არ არის გამორიცხული, აღენიშნებოდეს რომელიმე სხვა კატეგორიისათვის დამახასიათებელი ან უფრო ნაკლები ხარისხით.

27. ამ მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნული ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-3, მე-5 და მე-7 პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ერთმანეთისაგან განსხვავდება ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის ფარგლებში გადაადგილების უნარის შეზღუდვისათვის განსაზღვრული ხარისხი. კერძოდ, გადაადგილების უნარის შეზღუდვა, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, მკვეთრად გამოხატულ

შესაძლებლობის შეზღუდვას ახასიათებს მესამე ხარისხის, მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვას მეორე ხარისხის, ხოლო ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვას პირველ ხარისხის სახით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ საცნობი ნიშნით და, შესაბამისად, პარკირების სპეციალური პირობებით სარგებლობის ინტერესთან მიმართებით, გადაადგილების უნარის შეზღუდვის ხარისხობრივი განსხვავება საფუძველს ვერ დაუდებს გადაადგილების უნარის შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა სტატუსის მატარებელ პირთა არსებითად უთანასწორო პირებად მიჩნევას.

28. უპირველესად, აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ გადაადგილების უნარის მეორე და მესამე ხარისხის შეზღუდვა, არსობრივად, დაკავშირებულია დამხმარე საშუალებით სარგებლობის ან გადაადგილებისას სხვა პირთა დახმარების საჭიროებასთან, რამდენადაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ გადაადგილების უნარის მესამე ხარისხის შეზღუდვა გულისხმობს დამოუკიდებლად გადაადგილების შეუძლებლობასა და სრულ დამოკიდებულებას სხვა პირთა დახმარებაზე, მეორე ხარისხის გადაადგილების შეზღუდვა დაკავშირებულია დამოუკიდებლად გადაადგილების უნართან დამხმარე საშუალებების გამოყენებით და/ან სხვა პირთა დახმარებით. ამ მხრივ, საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმაც განმარტა, რომ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, სარგებლობდეს ისეთი დამხმარე საშუალებით, როგორც არის სავარძელი. შესაბამისად, დამხმარე საშუალებებით სარგებლობისა და სხვათა დახმარების საჭიროება, აგრეთვე, იმთავითვე არ არის ექსკლუზიურად დამახასიათებელი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ფარგლებში დაფიქსირებად გადაადგილების უნარის შეზღუდვის ხარისხთან.

29. დამატებით გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველაზე მსუბუქი, დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის პირველი ხარისხის შეზღუდვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გულისხმობს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარს ჩვეულებრივზე მეტი დროის დანახარჯით, მანძილის შემცირებით და გადაადგილების დანაწევრებით. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, კანონმდებლობიდან არ იკვეთება დამხმარე საშუალებების გამოყენების საჭიროებაზე

მითითება, თუმცა, როგორც გამოიჩვენა, პარკირების სპეციალური პირობები უკავშირდება არა მხოლოდ პარკირების სტანდარტულზე დიდი ფართობის გამოყოფას, არამედ საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალების გათავისუფლებას დროის მონაკვეთისა და ზონალური პარკირების საფასურისაგან და ამგვარი ადგილების განლაგებას საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე ობიექტებთან ყველაზე ახლოს. თავის მხრივ, ამგვარი პირობებით სარგებლობის ინტერესი რელევანტურია დამოუკიდებლად გადაადგილების პირველი ხარისხის შეზღუდვის მატარებელ პირებთან მიმართებითაც. კერძოდ, ხსენებული შეზღუდვის ხარისხისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული კრიტერიუმები წარმოაჩენენ, რომ ამ ტიპის შეზღუდვის მქონე პირისათვის პრობლემურია შორ დისტანციაზე გადაადგილება და იგი ამ პროცესში საჭიროებს სტანდარტულზე მეტ დროს, გადაადგილების დანაწევრებასა და მანძილის შემცირებას. შესაბამისად, ამგვარ ვითარებაში, გადაადგილების ხანგრძლივობიდან, ისევე, როგორც შორ მანძილზე გადაადგილების პრობლემიდან წარმოშობილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინტერესი, ისარგებლოს პარკირების სპეციალური პირობებით, მათ შორის, გათავისუფლდეს დროის მონაკვეთისა და ზონალური პარკირების საფასურისაგან და ისარგებლოს პარკირების ადგილით საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე ობიექტებთან სიახლოვეს, არ გამორიცხავს ამ პირის არსებითად თანასწორად მიჩნევას გადაადგილების შეზღუდვის სხვა ხარისხის მქონე პირებთან მიმართებით, მით უმეტეს იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ, როგორც დადგინდა, მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ზოგიერთ პირს, რომელიც სარგებლობს პარკირების სპეციალური პირობებით, შესაძლოა, საერთოდ არ აღენიშნებოდეს გადაადგილების უნარის შეზღუდვა ან არ არის გამორიცხული, აღენიშნებოდეს სწორედ პირველ ხარისხში.

30. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაადგილების უნარის შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა სტატუსის მატარებელ პირს გააჩნია თანაბარი ინტერესი, ისარგებლოს საცნობი ნიშნით და მასთან დაკავშირებული პარკირების სპეციალური პირობებით. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსებს შორის დიფერენცირება, *per se*, არ გამორიცხავს სხვადასხვა სტატუსის მატარებელი, გადაადგილების უნარის შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების არსებითად თანასწორად მიჩნევას განსახილველი საქმისათვის რელევანტური სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში.

31. ამდენად, განსახილველ სამართალურთიერთობასთან მიმართებით, მოსარჩელე მხარის მიერ დასახელებული პირთა კატეგორიები წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს.

32. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დიფერენცირება ხორციელდება არსებითად თანასწორ პირებს შორის და, შესაბამისად, სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვა.

3.3 შეზღუდვის კონსტიტუციურობა

33. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი არ არის აბსოლუტური ხასიათის და დემოკრატიულ სახელმწიფოში შესაძლებელია მისი შეზღუდვა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

34. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დიფერენცირების არსებობის ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში, მისი დისკრიმინაციულობის მასშტაბი იდენტური არ არის და დამოკიდებულია უთანასწორო მოპყრობის თავისებურებებზე. „ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას ... სხვა შემთხვევებში ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება თუ აუცილებლობა. ზოგჯერ შესაძლოა საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493

გადაწყვეტილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: ახალი მემარჯვენეები და საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სადავო ნორმების შეფასებისას სასამართლო იყენებს რაციონალური დიფერენცირების ან შეფასების მკაცრ ტესტს. საკითხი, თუ რომელი მათგანით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ, წყდება სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის, ჩარევის ინტენსივობისა და დიფერენცირების ნიშნის გათვალისწინებით. კერძოდ, თუ არსებითად თანასწორ პირთა დიფერენცირების საფუძველია კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი რომელიმე ნიშანი ან სადავო ნორმა ითვალისწინებს უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას - სასამართლო გამოიყენებს შეფასების მკაცრ ტესტს (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის №2/4/603 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-8).

35. იმავდროულად, „მიუხედავად იმისა, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შერჩეულ უნდა იქნეს რაციონალური დიფერენცირებისა თუ მკაცრი შეფასების ტესტი, ორივე მათგანის ფარგლებში, აუცილებელია, რომ სადავო ნორმით განსაზღვრულ შეზღუდვას გააჩნდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი და შერჩეული საკანონმდებლო საშუალება იყოს დასახელებულ მიზანთან რაციონალურ და გონივრულ კავშირში. დიფერენცირებული მოპყრობის გამომწვევი ღონისძიება, რომელიც დასახელებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, ჩაითვლება თვითმიზნურად და დისკრიმინაციულად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767,1272 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40). შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც აშკარაა, რომ დიფერენცირება არ პასუხობს რაციონალური ტესტის მოთხოვნებს, სასამართლო სადავო ნორმას არაკონსტიტუციურად ცნობს დიფერენცირების ტესტის შერჩევის გარეშე (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767,1272 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

36. მოპასუხე მხარის არგუმენტაციით, საცნობი ნიშნის გაცემის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, რომელთა შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხი და სიმძიმე განაპირობებს ტრანსპორტირებისას დახმარების განსაკუთრებულ აუცილებლობას, ისარგებლონ პარკირების სპეციალური პირობებით. კერძოდ, მოპასუხე განმარტავს, რომ შეზღუდული საპარკინგე ადგილების პირობებში, საცნობი ნიშნით სარგებლობის

უფლება მიენიჭა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის ყველაზე რთულ კატეგორიას, რათა პარკინგის სპეციალური პირობებით ესარგებლათ გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებს, რომლებიც გადაადგილდებოდნენ დამხმარე საშუალებით და საჭიროებდნენ სტანდარტულზე მეტ სივრცეს.

37. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ შეზღუდული საპარკინგე სივრცეებით სარგებლობის უფლების მინიჭება იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომლებიც გადაადგილებისას საჭიროებენ დახმარების განსაკუთრებულ აუცილებლობას, წარმოადგენს ღირებულ საჯარო ინტერესს და, შესაბამისად, მის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია, დადგინდეს დიფერენცირებული მოპყრობა. თუმცა სადავო ნორმის კონსტიტუციურად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ დიფერენცირება რეალურ კავშირში იყოს დასახელებულ მიზანთან და იძლეოდეს მისი მიღწევის შესაძლებლობას. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს, რამდენად უკავშირდება მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის და ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირებზე საცნობი ნიშნის გაცემა იმ გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთა ხელშეწყობას, რომლებიც გადაადგილებისას საჭიროებენ დახმარების განსაკუთრებულ აუცილებლობას.

38. უპირველესად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ როგორც ზემოთ უკვე დადგინდა, მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი შესაძლოა, მიენიჭოს ისეთ პირს, რომელსაც არ აღენიშნება გადაადგილების უნარის შეზღუდვა. ამ თვალსაზრისით, მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი, თავისთავად, არ მიუთითებს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვის ფაქტზე. თავის მხრივ, სადავო ნორმებიდან გამომდინარე, დადგენილია ბლანკეტური რეგულირება, რომლის პირობებშიც, საცნობი ნიშანი ენიჭება ყველა მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირს, მათ შორის, მასაც, ვინც არ საჭიროებს გადაადგილების უნარის შეზღუდვიდან მომდინარე დახმარების განსაკუთრებულ აუცილებლობას. აღნიშნულის საპირისპიროდ, სადავო ნორმები საცნობი ნიშნის მიღების შესაძლებლობის მიღმა ტოვებს ზომიერად და მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირებს (გარდა ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირებისა), რომლებიც, როგორც აღინიშნა, შესაძლოა, იყვნენ დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვის მქონენი.

39. აღსანიშნავია, რომ მოპასუხე მხარის პოზიციით, თვითმიზანს არ წარმოადგენს სპეციალური საპარკინგე პირობებით სარგებლობის უფლებიდან პირთა რომელიმე წრის გამორიცხვა, არამედ მათთვის პრობლემურია გადაადგილების შეზღუდვის

დადგენა. ამ მხრივ, მოპასუხე მხარე აპელირებს იმაზე, რომ პრაქტიკაში, სპეციალური სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული ცნობებიდან ვერ დგინდება გადაადგილების უნარის შეზღუდვა. აღნიშნულთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების დანართი №3-ით დამტკიცებული ფორმა NIV-50/4-ის შესაბამისად გაიცემა ცნობა, რომელიც ეძლევა შემოწმებულს და რომლის წარდგენის შესაძლებლობა ასევე გათვალისწინებულია სადავო წინადადებებით. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 28 სექტემბრის №01-104/ნ ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შემდგომ, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის პირველი იანვრიდან, აღნიშნულ ცნობაში ექსპლიციტურად არის გათვალისწინებული ველი - „ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“, სადაც გადაადგილების შეზღუდვის არსებობისას, უნდა მოხდეს მისი დაფიქსირება და შესაბამისი ხარისხის მითითება. იმავდროულად, ცნობა ითვალისწინებს რეკომენდებული დამხმარე საშუალების მისათითებელ ველსაც. გარდა ამისა, საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმაც, თავის მხრივ, დაადასტურა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დადგენის დროს სამედიცინო და საექსპერტო დოკუმენტაციაში ეთითება დასაბუთება შესაბამისი სტატუსის მინიჭების მიზეზების თაობაზე. იმავდროულად, მისი პოზიციით, შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, სტატუსის შესახებ ცნობაში მიეთითოს გადაადგილების უნარის შეზღუდვის თაობაზე.

40. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ მარეგულირებელი კანონმდებლობის თვალსაზრისით, უზრუნველყოფილია იმგვარი ოფიციალური დოკუმენტის არსებობა, რომელიც იდენტიფიცირებადს ხდის დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვას და მის ხარისხობრივ გრადაციას. ამავდროულად, კანონმდებლობით ამგვარი დოკუმენტის შექმნის ვალდებულების არარსებობის შემთხვევაშიც, როგორც საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოიკვეთა, ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია პირის მიერ იმგვარი დოკუმენტის (სამედიცინო ცნობის) მოპოვება, რომელშიც მიეთითება მისი გადაადგილების უნარის შეზღუდვის ხარისხი. აღნიშნულის ფონზე, ის

გარემოება, რომ პრაქტიკაში, სპეციალური სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული ცალკეული სამედიცინო ცნობიდან ვერ დგინდება გადაადგილების უნარის შეზღუდვა, წარმოადგენს საკითხის პრაქტიკული ადმინისტრირების და, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, რელევანტური დოკუმენტის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის პრობლემას, რომელიც გავლენას ვერ მოახდენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმებიდან მომდინარე დიფერენცირების კონსტიტუციურობის საკითხის შეფასებაზე.

41. ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სპეციალური საპარკინგე სივრცეების ოდენობიდან გამომდინარე, საცნობი ნიშნით და, შესაბამისად, პარკირების სპეციალური პირობებით მოსარგებლე პირთა წრის შემოსაზღვრა, შესაძლოა, ობიექტურად აუცილებელ მოცემულობას წარმოადგენდეს. იმავდროულად, აღნიშნულ პროცესში, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული თანასწორობის უფლების იმპერატივებიდან გამომდინარე, დაუშვებელია დისკრიმინაციული შინაარსის გადაწყვეტილებების მიღება. ამ მხრივ, როგორც აღინიშნა, შესაძარებელ პირებს შორის დიფერენცირება და მათი განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა მიზნად ისახავდა იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელშეწყობას, რომლებიც, გადაადგილებისას საჭიროებენ დახმარების განსაკუთრებულ აუცილებლობას. როგორც უკვე დადგინდა, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ფლობის დადასტურება, თავისთავად, არ წარმოადგენს გარემოებას, რომელიც წარმოაჩენდა დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვას - მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის ფარგლებში, შესაძლოა, საერთოდ არ ჰქონდეს ადგილი დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის მოშლას. თავის მხრივ, სადავო ნორმები საცნობი ნიშნის მიღების შესაძლებლობას ანიჭებს ყველა მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირს, მათ შორის, მათ, რომლებსაც არ აღენიშნებათ გადაადგილების უნარის შეზღუდვა მაშინ, როდესაც სრულად გამოირიცხება გადაადგილების უნარის შეზღუდვის მქონე ზომიერად და მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მქონე პირების მიერ (გარდა ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირებისა) მისით სარგებლობა. აღნიშნული, თავის მხრივ, მოკლებულია რაციონალურ ახსნას. შესაბამისად, დადგენილი დიფერენცირება არ არის რაციონალურ კავშირში იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელშეწყობასთან, რომლებიც გადაადგილებისას საჭიროებენ დახმარების განსაკუთრებულ აუცილებლობას.

42. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმები დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

4. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით

43. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ხსენებული „კონსტიტუციური დებულება ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განახორციელოს აუცილებელი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებები და ამგვარად უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის №1/6/1426 განჩინება საქმეზე „გურამ აბულაძე და მიქაელ აბულაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-25). იმავედროულად, „აღნიშნული კონსტიტუციური დებულება აკვალიფიცირებს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლების მოქმედებას სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელშეწყობისკენ მიმართულ, მათი სპეციალური საჭიროებებით ნაკარნახევ ღონისძიებებთან მიმართებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №12/6/1450 განჩინება საქმეზე „დავით ძამუკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16). აღნიშნული მექანიზმის განსაზღვრით, კონსტიტუცია სცდება ვიწროდ სამართლის წინაშე თანასწორობის იდეას და აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განსაკუთრებული პირობების შექმნის საჭიროებას, მათი უფლებებისა და ინტერესების ეფექტიანი რეალიზების მიზნებისათვის. მაშასადამე, განსხვავებით საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტისგან, რომელიც წარმოადგენს სამართლის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის მოთხოვნის დამდგენ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი სახელმწიფოს უდგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განსაკუთრებული პირობების შექმნის ვალდებულებას. შესაბამისად, იმისათვის, რათა დადგინდეს სადავო ნორმის საფუძველზე ხსენებული უფლების შეზღუდვა, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმიდან

მომდინარეობს სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული პირობების შექმნის ვალდებულების დარღვევა.

44. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი საცნობი ნიშნების სამართლიან, თანასწორ განაწილებას შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სხვადასხვა პირთა კატეგორიას შორის. მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ შეზღუდული საპარკინგე სივრცეების გათვალისწინებით, პირველ რიგში, ამ სივრცეების განაწილება უნდა მოხდეს იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შორის, რომელთათვისაც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვას უკავშირდება. აღნიშნულის მიღმა, არც კონსტიტუციური სარჩელისა და არც საქმის არსებითი განხილვის ფორმატში, მოსარჩელე მხარეს სადავოდ არ გაუხდია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სპეციალური პარკირების ადგილების ან მათ მიერ შექმნილი განსაკუთრებული პირობების შინაარსობრივი კომპონენტების არასაკმარისობა/პრობლემურობა. წარმოდგენილი არგუმენტაციის გაანალიზებით, ცხადი ხდება, რომ მოსარჩელე მხარის პრობლემა მიემართება არა იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო არ ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის, არამედ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო გამოყოფილ რესურსს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის არასამართლიანად, დისკრიმინაციულად ანაწილებს.

45. აღსანიშნავია, რომ თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულება, რომლის ფარგლებშიც, არსებითად თანასწორი პირები არ უნდა დაექვემდებარონ გაუმართლებელ დიფერენცირებას სახელმწიფოს მიერ დადგენილი ამა თუ იმ სამართლებრივი რეჟიმით სარგებლობასთან მიმართებით, საქართველოს კონსტიტუციის არქიტექტურაში, დაცულია კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით. შესაბამისად, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სხვადასხვა კატეგორიას შორის თანასწორი მდგომარეობის უზრუნველყოფის მოთხოვნა მიემართება საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ სამართლის წინაშე თანასწორობის უფლებას და არა განსაკუთრებული პირობების შექმნის კონსტიტუციურ ვალდებულებას, რომელიც თანასწორობის უზრუნველყოფის ზოგადი მოთხოვნის მიღმაა.

46. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე მხარის სასარჩელო მოთხოვნა და წარმოდგენილი არგუმენტაცია დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის

პირველი პუნქტის დაცულ სფეროსთან, რომელთან მიმართებითაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე შეაფასა სადავო ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი. აღნიშნულს მიღმა, მოსარჩელე მხარემ ვერ დაასაბუთა სადავო ნორმების საფუძველზე საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შეზღუდვა.

47. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტს.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-8 და მე-11 პუნქტების, 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტების, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის, 43-ე, 45-ე და 47-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. კონსტიტუციური სარჩელი №1545 („საქართველოს სახალხო დამცველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება და მე-3 პუნქტის პირველი წინადადება

(2021 წლის 20 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

2. კონსტიტუციური სარჩელი №1545 („საქართველოს სახალხო დამცველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ“) არ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებისა და მე-3 პუნქტის პირველი წინადადების (2021 წლის 20 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით.

3. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

4. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

6. გადაწყვეტილებას დაერთოს მოსამართლე თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი.

7. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე

ირინე იმერლიშვილი

თეიმურაზ ტულუში



**საქართველოს
სახალხო დამცველის აპარატი
OFFICE OF PUBLIC DEFENDER
OF GEORGIA**

დავით აღმაშენებლის გამზირი N80
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge



KA000028566907224

10 დეკემბერი 2024 წ.

№ 2024/7133

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2024 წლის 24 ოქტომბერს N2/5/1545 გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მიიჩნია სატრანსპორტო საშუალებების პარკირების შესაბამისი საცნობი ნიშნის გაცემა მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ან ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირების მიმართ.

საკონსტიტუციო სასამართლომ დისკრიმინაციულად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგულაცია, რადგან ისინი საცნობი ნიშნის მიღების შესაძლებლობის მიღმა ტოვებს ზომიერად და მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირებს (გარდა ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირებისა), რომლებიც შესაძლოა იყვნენ დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვის მქონენი.

ანალოგიური დებულებებია გათვალისწინებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების“ მე-16 მუხლით, რომელიც საცნობი ნიშნის გაცემას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ, პირის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობის საფუძველზე.

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების დანართი №3-ით დამტკიცებული ფორმა NIV-50/4-ის შესაბამისად გაიცემა ცნობა, რომელიც ეძლევა შემონმბებულს და რომლის წარდგენის შესაძლებლობა ასევე გათვალისწინებულია სადავო ნორმებით. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 28 სექტემბრის № 01-104/ნ ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შემდგომ, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის პირველი იანვრიდან, აღნიშნულ ცნობაში ექსპლიციტურად არის გათვალისწინებული ველი - „ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“, სადაც გადაადგილების შეზღუდვის არსებობისას, უნდა მოხდეს მისი დაფიქსირება და შესაბამისი ხარისხის მითითება. იმავდროულად, ცნობა ითვალისწინებს რეკომენდებული დამხმარე საშუალების მისაბრუნებელ ველსაც. გარდა ამისა, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმაც, თავის მხრივ, დაადასტურა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დადგენის დროს სამედიცინო და საექსპერტო დოკუმენტაციაში ეთითება დასაბუთება შესაბამისი სტატუსის მინიჭების მიზეზების თაობაზე. იმავდროულად, მისი პოზიციით, შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, სტატუსის შესახებ ცნობაში მიეთითოს გადაადგილების უნარის შეზღუდვის

თაობაზე.^[1]

აღნიშნულიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მარეგულირებელი კანონმდებლობის თვალსაზრისით, უზრუნველყოფილია იმგვარი ოფიციალური დოკუმენტის არსებობა, რომელიც იდენტიფიცირებადს ხდის დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვას და მის ხარისხობრივ გრადაციას. ამავდროულად, კანონმდებლობით ამგვარი დოკუმენტის შექმნის ვალდებულების არარსებობის შემთხვევაშიც, როგორც საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოიკვეთა, ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია პირის მიერ იმგვარი დოკუმენტის (სამედიცინო ცნობის) მოპოვება, რომელშიც მიეთითება მისი გადაადგილების უნარის შეზღუდვის ხარისხი. [2]

ცხადია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არ მოითხოვს განსაკუთრებული ზომების მიღების საჭიროებას და შესაძლებელია საკითხის პრაქტიკული ადმინისტრირების გზით გადაჭრა. შესაბამისად, დისკრიმინაციული შდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით მნიშვნელოვანია უმოკლეს ვადაში, სადავო საკითხის მარეგულირებელ კანონმდებლობაში ასახოთ რელევანტური ცვლილებები.

გთხოვთ, კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების ვადებთან დაკავშირებით, ინფორმაცია მოგვანოდოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 10 დღის ვადაში.


თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატი მზად არის ჩაერთოს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში შესატანი ცვლილების შემუშავების პროცესში.

პატივისცემით,

[1] საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 24 ოქტომბრის N2/5/1545 გადაწყვეტილება, II-39;

[2] იქვე, II-40.

საქართველოს სახალხო დამცველის
მოადგილე



ელენე ლუღუშაური